თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 27 აპრილი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ,,საფიიჩხიის" ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე ,,ხარაზოვის" სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №4 სახანძრო ნაწილის (ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, ყოფილი კულტურის სახლი) შენობის კაპიტალური შეკეთების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №22 სასაწყობო მეურნეობების 2 (ორი) შენობის (№27 საჯარო სკოლის გვერდით) სახურავის კაპ. შეკეთების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის ქალაქ ქუთაისში ,,საფიიჩხიის" ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე ,,ხარაზოვის" სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №4 სახანძრო ნაწილის (ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, ყოფილი კულტურის სახლი) შენობის კაპიტალური შეკეთების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №22 სასაწყობო მეურნეობების 2 (ორი) შენობის (№27 საჯარო სკოლის გვერდით) სახურავის კაპ. შეკეთების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში „საფიიჩხიის" ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე „ხარაზოვის" სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №4 სახანძრო ნაწილის (ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, ყოფილი კულტურის სახლი) შენობის კაპიტალური შეკეთების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №22 სასაწყობო მეურნეობების 2 (ორი) შენობის (№27 საჯარო სკოლის გვერდით) სახურავის კაპ. შეკეთების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 03 მაისს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 02 მაისის 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ~~კოტე რატიანი~~

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი